KA030175215885717

№ 01-25372 **24 / ნოემბერი / 2017 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელს ბატონ ზაზა სოფრომაძეს

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსის, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ზაზა,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 29 ნოემბრიდან 1 დეკემბრის ჩათვლით სლოვენიაში ქ. ლუბლიანაში სლოვენიის ფინანსების მართვის ცენტრის (Center of Excellence in Finance) ორგანიზებით დაგეგმილია სემინარი თემაზე: „შედეგებზე ორიენტირებული (პროგრამული) ბიუჯეტირება''.

აღნიშნულ სემინარში მონაწილეობის მიღების მიზნით მიწვეულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის საფინანსო საბიუჯეტო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ჯუნა გერსამია.

ვიზიტში მონაწილეობის ხარჯები (მგზავრობა და სასტუმრო) ანაზღაურდება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის მიერ.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში უზრუნველვყოფთ მივლინების ბრძანების გაფორმებას ქალბატონი ჯუნა გერსამიასთვის მიმდინარე წლის 28 ნოემბრიდან 3 დეკემბრის ჩათვლით და დღიური ნორმის ანაზღაურებას მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

დანართი:

1.ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის წერილი;

2.მოწვევის წერილი;

3.ელექტრონული ბილეთი.

პატივისცემით,

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სოფიკო ბელქანია